3/14/2016 192.168.1.11/nomfileserver/GetFile?file_id=808204937124520490 15&obj_name=A&SessValue=HqaJ2ssRTwBz2TgbpjDDAB9F830zvwtdWEWY7

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ზედამხედველობის საქალაქო
სამსახური

KA0101175139854 16

№16/58958 **14 / მარტი / 2016 წ.**

შპს ენენქეი.

საქართველო, ქ. თბილისის, ისანი-სამგორის
რაიონში, სამგორის ჩიხი, № 3ა

ბატონო გიორგი,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი N62513/07 წერილის პასუხად სამსახური გაძლევთ რეკომენდაციას „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 251-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ (წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებობის ნებართვა) 20.02.2015წ. N1730980 ბრძანებით შეთანხმებული პროექტიდან გადახვევით ქ. თბილისში, სექტორი სამგორი, N3ა -ში (საკ. კოდი N01.17.12.003.059) თქვენი დაკვეთით მიმდინარე მშენებლობაზე შემდეგი დარღვევის გათვალისწინებით:

შენობაში შეცვლილია კოლონების, რიგელებისა და ლითონის სვეტების რაოდენობა, გაბარიტები და მათ ნაწილობრივ მონაცვლებული აქვთ ადგილები. ასევე შეცვლილია ფერმის ნახატი და სიმაღლე. "4^1-4^1" ღერძზე მდებარე კოლონებსა და რიგელებს მონაცვლებული აქვთ ადგილი ღერძის გარეთ. ასევე გაზრდილია გადახურვის გაბარიტები. "1-1" ღერძთან „F-G" მონაკვეთში შეცვლილია გადახურვის ფორმა და მის ქვეშ დამატებით მოწყობილია ლითონის მილკვადრატები. შეცვლილია სართულის სიმაღლე. კედლები გოფრირებული თუნუქის ფირფიტების ნაცვლად მოწყობილია ბლოკით. შეცვლილია გრუნტის ნიშნულები, "4^1-4^1" ღერძის გარეთ „B-C" მოწყობილია პანდუსი.

დამატებით განგიმარტავთ, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 251-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად „რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება". პატივისცემით,

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე